შინაგანაწესის დანართი №1

ჩამონათვალი იმ პირველადი მოხმარების საგნების, ჰიგიენური საშუალებების, კვების პროდუქტებისა და სხვა ნივთებისა და საგნებისა, რომლებიც მოთავსებულ პირს უფლება აქვს ამანათის სახით მიიღოს, შეინახოს და გამოიყენოს კანონიერად:

1. კვების პროდუქტები: ყველა სახეობის ხილი და ბოსტნეული (კენკროვანი ხილის, ყურძნის, ნესვის და საზამთროს გარდა) – ერთობლიობაში ერთჯერადად არაუმეტეს 3 კილოგრამისა; ყველი, ძეხვეული, ხილფაფა, კანფეტი, ჯემი, პურ-ფუნთუშეული, ხორცეული (ძვლის გარეშე), თევზი (ფხის გარეშე), ქარხნული წესით დამუშავებული საწებელი (შუშის ქილის გარეშე), ქარხნული წესით დამუშავებული თაფლი (შუშის ქილის გარეშე) – თითოეული არაუმეტეს ნახევარი კილოგრამისა.

2. ქარხნული წესით დალუქული მინერალური წყლები და უალკოჰოლო გაზიანი სასმელები შეფერილობის და შუშის ქილის გარეშე- ერთჯერადად არაუმეტეს 3 ლიტრისა.

3. სეზონური ტანსაცმელი: მუქი ფერის გრძელი შარვალი(„ბრიჯის“ და „შორტის“ გარდა) – არაუმეტეს 1 ცალისა, ქურთუკი სარჩულის გარეშე (ყველა სახის ქურქის, „დუტის“ და ტყავის გარდა)- არაუმეტეს 1 ცალისა, სეზონური მაისური და სვიტერი (თავსაფრის გარეშე) – არაუმეტეს 1 ცალისა, ნაქსოვი ქუდი (კეპის გარეშე) – არაუმეტეს 1 ცალისა, პერანგი – არაუმეტეს 1 ცალისა, სეზონური თბილძირიანი ფეხსაცმელი ზონარის გარეშე („ჩუსტი“, „კედი“, „ბოტასი“) – არაუმეტეს 1 ცალისა, სპორტული ტანსაცმელი (თავსაფრის, ზონარისა და სარჩულის გარეშე) – არაუმეტეს 1 კომპლექტისა.

4. საცვალი არაუმეტეს 1 ცალისა და წინდა არაუმეტეს 1 წყვილისა.

5. ღია ფერის, ზომით არაუმეტეს 30/40, პირსახოცი – არაუმეტეს 1 ცალისა და ცხვირსახოცი – არაუმეტეს 2 ცალისა.

6. კბილის ჯაგრისი, პასტა, ბამბა და არამეტალის სავარცხელი – არაუმეტეს 1 ცალისა.

7. სათვალე (ოპტიკური არაძვირფასი მეტალის ან პლასტმასის ჩარჩოთი) – არაუმეტეს 1 ცალისა.

8. ყავარჯნები, ხის ტროსტები, პროტეზები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ეტლები (სამედიცინო მუშაკის ნებართვით) საჭიროების შემთხვევაში.

9. სიგარეტი არაუმეტეს 6 კოლოფისა.

10. რელიგიური ან/და საკულტო დანიშნულების მქონე, არამეტალისაგან დამზადებული მცირე ზომის ნივთები, საკიდის გარეშე.